მაკა ამაღლობელი, ლანა გოგიჩაშვილი

ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა

2025 წლის 12-16 მაისს, ლიეტუვის ქალაქ ვილნიუსში, Erasmus+-ის პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წარმომადგენელმა მაკა ამაღლობელმა და ასევე, წარმომადგენელმა სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტიდან, ლანა გოგიჩაშვილმა, მიიღეს მონაწილეობა როგორც აკადემიურ აქტივობებში, ისე კულტურულ და საგანმანათლებლო პროცესებში, რომელიც დააორგანიზა ვილნიუსის უნივერსიტეტმა.

პროგრამის დასაწყისში ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ლიეტუვის ისტორიას, ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს. მონაწილეებს წარუდგინეს ლიეტუვური ენის შესავალი, რაც განსაკუთრებულად საინტერესოდ წარიმართა როგორც ლინგვისტური, ისე კულტურული კუთხით. სამუშაო შეხვედრებზე განხილული იყო კომუნიკაციის სტრატეგიები და საერთაშორისო თანამშრომლობის თანამედროვე გამოწვევები.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა მოენახულებინათ ვილნიუსის უნივერსიტეტის ძველი კამპუსი, რომელიც უნიკალური არქიტექტურითა და ისტორიული მემკვიდრეობით გამოირჩევა. ასევე საულეტეკისის კამპუსი, სადაც გაეცნენ თანამედროვე სასწავლო ინფრასტრუქტურას. ამასთან ერთად, მონაწილეები პროგრამის ფარგლებში, ესტუმრნენ ვილნიუსის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რომელიც გამორჩეულია თანამედროვე აღჭურვილობითა და მრავალფეროვანი სერვისებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და ლექტორების სრულფასოვან აკადემიურ მხარდაჭერას.

ამ ტიპის მობილობა სრულად ემსახურება Erasmus+ პროგრამის მიზნებს — ხელი შეუწყოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ გაცვლასა და პროფესიულ განვითარებას უმაღლესი განათლების სფეროში.